ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N

ქ. დუშეთი 05 დეკემბერი 2017 წელი

ჩვენ, ერთის მხრივ, **დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია** (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის **ზურაბ სეხნიაშვილის** და მეორეს მხრივ, **საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო** (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახურის უფროსის - **დავით ალადაშვილის** (პ/ნ 01019032094) სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის, „ზ" ქვეპუნქტისა და „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილების 46[1] მუხლის გათვალისწინებით, **დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის** 2017 წლის დაფინანსების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") "შემსყიდველსა" და "მიმწოდებელს" შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს "შემსყიდველმა" "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით საკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „შესყიდვის ობიექტი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „საშეშე მერქანი" - ხე-ტყის დამზადების შედეგად, ხე-ტყისგან მიღებული ერთ მეტრამდე სიგრძის დაკოტრილი ან წვრილი ბოლოდან არაუმეტეს 12 სანტიმეტრის დიამეტრის მქონე მერქნული რესურსი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილების 27[2] მუხლის მე-6 პუნქტის, 45-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტისა და 46[3] მუხლის შესაბამისად **დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის** საშეშე მერქნული რესურსის მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (CPV - 03413000). კერძოდ, 328 მ[3] დამზადებული ფოთლოვანი ჯიშის საშეშე მერქნული რესურსის გადატანა დუშეთის მუნიციპალიტეტის მატერიალურად შეკირვებული მოსახლეობისათვის დანართ N1-ში მითითებულ ლოკაციაზე და აღნიშნულ ლოკაციაზე გადმოტვირთვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს არაუმეტეს 31873.72 ლარს.

3.2. ერთი კუბური მეტრი საშეშე მერქნული რესურსის სარეალიზაციო ფასი განისაზღვრება „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილების N9 დანართის შესაბამისად, მერქნული რესურსის სახეობების მიხედვით და შეადგენს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული მერქნული რესურსისთვის 90 ლარს (დანართის შენიშვნის გათვალისწინებით რომ დადგენილი სარეალიზაციო ფასები მოცემულია 30 კმ-ის ჩათვლით მანძილზე ტრანსპორტირებით), ხოლო 30 კმ-ის ზევით, ყოველ მომდევნო კილომეტრზე ფასს ემატება 1[3] მეტრისთვის 0.50 ლარი.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტის შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი

4.1. "მიმწოდებელი" შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს ეტაპობრივად, არა უგვიანეს **2018 წლის 20 იანვრისა.**

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაში არ ჩაითვლება დროის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ის შეჩერებულია "შემსყიდველის" მიზეზით.

4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია - ხელშეკრულების დანართი #1-ში მითითებული ლოკაციების ადგილსამყოფელი.

5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს "შემსყიდველის" მიერ განსაზღვრული პირი.

5.2. ინსპექტირება გულისხმობს "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე განეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

5.3. ინსპექტირების შედეგად ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" მიღებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტში ნაჩვენები უნდა იყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ოდენობა და ღირებულება.

6.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდების დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით, "შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტთან ერთად წარმოუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

6.4. "შემსყიდველის" მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭებათ, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში, კონკრეტული მიწოდების მომენტისათვის განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს.

7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს, ფაქტიურად განეული მომსახურების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ერთჯერულ ვალუტაში, მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

7.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. "შემსყიდველი" უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მიმწოდებლის ქმედებით ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლის შედეგების დადგომისას, განეული მომსახურების ღირებულება გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოსა და ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და მე-6 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 დღის განმავლობაში.

8.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, "მიმწოდებელს" გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.

8.3. "მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს "შემსყიდველს" მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.4. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული მომსახურება, ხოლო ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოფხვრას ყველა უზუსტობა.

ბ) სრულად აანაზღაუროს მისი ბრალეულობითა და დაუდევრობით გამოწვეული ზარალი.

გ) დროულად განიხილოს "შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8.5. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.
9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
9.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა შეადგენს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, "შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მიმენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5. პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო.
9.6. გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით ინსპექტირების ჯგუფის მიერ განსაზღვრულ და „შემსყიდველთან" შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები "შემსყიდველისთვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5. მხარე ვალდებულია 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ დაუყოვნებლივ, წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებით ან/და გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამოიწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიღებიდან მხარემ 3 (ორი) სამუშაო დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
12.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, მესაზამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა უთანხმოება და დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვან შესრულებამდე, 2018 წლის პირველ თებერვლამდე.

15. შესყიდვის ობიექტის სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული მომსახურების სპეციფიკაციები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკება და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართული ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა "შემსყიდველს", ხოლო ერთი ეგზემპლარი - "მიმწოდებელს".

17. მხარეთა რეკვიზიტები

"მიმწოდებელი"

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის სამინისტროს
სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
მის: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №6
ს/კ: 204578581
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ს/ა: 707367309

"შემსყიდველი"

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ქ. დუშეთი, ს/კ: 229324451
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში:
ს/ა GE24NB0330100200116502 2

მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახურის უფროსი
დავით ალადაშვილი

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი
ზურაბ სეხნიაშვილი

საშეშე მერქნის დასაწყობების ლოკაციები და შესაბამისი მოცულობა

#	მუნიციპალიტეტის თემები	შეშის დასაწყობების ლოკაცია (ქალაქი, დაბა, სოფელი)	შეშის მოცულობა (კბმ)	შესაბამისი თანხა (1 კბმ-ს ფასი)	სულ თანხა
1	ქ. დუშეთი	ადგილზე მიტანით **80**კბმ	80	90.00	7200
2	დ. ფასანაური	დ. ფასანაური. თემის რწმუნებულის ოფისის ტერიტორია **14** კბმ	6	105.70	634.2
3	ს. ხანდო		2	105.70	211.4
4	ს. წინამხარი		6	105.70	634.2
5	ს. ქვ. არანისი, დ. ჟინვალი, ს. ჩინთი	დ. ჟინვალი. თემის რწმუნებულის ოფისის ტერიტორია **10** კბმ	10	90.50	905
6	ს. ხარტიშო, ს. თვალიანი	ს. თვალიანი **4** კბმ	4	100.25	401
8	კიტოხი, დუმაცხო, გამსი, თოთიაურები, ლუთხუბი, ჩოხი, დიხჩო, მაჭართა,	გუდამაყარი. თემის რწმუნებულის ოფისის ტერიტორია **22** კბმ	22	112.00	2464
9	მლაშე, ბაგა, ლაზვიანტკარი, ჩანადირები	ადგილზე მიტანით **12** კბმ	12	90.00	1080
10	გრიგოლაანთკარი, უნდილაანი, ჩირდელიანთკარი	ადგილზე მიტანით **16** კბმ	16	90.00	1440
12	ბაზალეთი	ადგილზე მიტანით **16** კბმ	16	90.00	1440
16	მაღაროსკარი	ს.მაღაროსკარი. თემის რწმუნებულის ოფისის ტერიტორია **10** კბმ	4	101.15	404.6
17	კაწალხევი		2	101.15	202.3
18	ხომი		2	101.15	202.3
19	კანატია		2	101.15	202.3
20	ჩარგალი	ადგილზე მიტანით **6** კბმ	6	110	660
21	ციცწყარო	სოფ. ანანური. თემის რწმუნებულის ოფისის ტერიტორია **10** კბმ	4	105.85	423.4
	ხორხი		2	105.85	211.7
22	დგნალი		4	105.85	423.4
23	სალაჯური	ს. ქვეშეთი. თემის რწმუნებულის ოფისის ტერიტორია **22** კბმ	6	113.2	679.2
24	ლაკათხევი		2	113.2	226.4
25	გოგნაური		2	113.2	226.4
26	მანასეური		4	113.2	452.8
27	ხარხეთი		4	113.2	452.8
28	გვიდაქე		2	113.2	226.4
29	ქვეშეთი		2	113.2	226.4
30	დიღომა	ადგილზე მიტანით **8** კბმ	2	102.35	204.7
31	ახალციხე		2	101.15	202.3
32	ხეობა		2	92.5	185
33	მიგრიაულები		2	96.2	192.4

34	დავათი	ს. დავათი **6** კბმ	6	97.05	582.3
35	აბანოსხევი	ს. აბანოსხევი **2**კბმ	2	90	180
36	მწითურები	ს. ლაფანაანთკარი. თემის რწმუნებულის ოფისის ტერიტორია **4** კბმ	2	90	180
37	ლაფანაანთკარი		2	90	180
38	მჭადიჯვარი	ს. მჭადიჯვარი. თემის რწმუნებულის ოფისის ტერიტორია **16** კბმ	10	90	900
39	ებნისი		6	90	540
40	ილტოზა	ადგილზე მიტანით **4** კბმ	2	90	180
41	ბაქაქურები		2	90	180
42	შუაფხო	ადგილზე მიტანით **4**კბმ	2	112.36	224.72
43	თხილიანა		2	110.75	221.5
44	დოლასქედი	ს. ჭართალი. თემის რწმუნებულის ოფისის ტერიტორია **4** კბმ	2	96.65	193.3
45	მუგუდა		2	96.65	193.3
46	სოფ. ბარისახო	ს. ბარისახო. თემის რწმუნებულის ოფისის ტერიტორია **22** კბმ	18	107	1926
47	ბუჩუკურთა		2	107	214
48	ჯორშა		2	107	214
49	სოფ. ახატანი	ადგილზე მიტანით **10** კბმ	10	101	1010
50	ახალი ტონჩა	ადგილზე მიტანით **26** კბმ	4	90	360
51	არღუნი		4	90	360
52	ოქრეაანი		2	90	180
53	ყვავილი		2	90	180
54	ვეძათხევი		14	90	1260
ს უ ლ:			**328**		**31873.72**